ინტერვიუ

რესპოდენტი: მარიტა დიასამიძე

27 წლის, დაოჯახებული

-მოგესალმებით მარიტა.

-გამარჯობა.

-მარიტა შეიძლება რამდენიმე კითხვა დაგისვათ ჩემი ინტერვიუსათვის?

-რა თემასთან დაკავშირებით გსურთ ინტერვიუს ჩაწერა?

-მინდა ყველასათვის ნაცნობ გრძნობაზე, სიყვარულზე ვისაუბროთ.

-ძალიან კარგი მაშინ სიამოვნებით ვიქნები თქვენი რესპოდენტი.

-ძალიან კარგი მარიტა, მაშინ დავიწყოთ. მინდა ყველასათვის ინდივიდუალური გრძნობის შემცველი კითხვა დაგისვათ: რა არის, ან რას ნიშნავს თქვენთვის სიყვარული?

-ოოო..., ეს ხომ მართლაც ამოუხსნელი გრძნობა და ამავდროულად ძალაა, ამ კითხვაზე უამრავი პასუხის გაცემა შეიძლება. ამ გრძნობამ შეიძლება ადამიანი იმდენად

ჩაითრიოს, რომ მასთან საუბრისას გაიფიქრო: ეს სულ გაგიჟებულაო. თუმცა სიყვარული ხომ ყოველთვის ორმხრივი არაა?! მე სწორედ ცალმხრივ სიყვარულს ვთვლი ყველაზე ძლიერ სიყვარულად. უბრალოდ წარმოიდგინეთ, გიყვარდეთ ვინმე და მან თქვენზე არცკი იცოდეს.

-მარიტა, თქვენი აზრით რა ხდის სიყვარულს და ურთიერთობას მარადიულს?

-სიყვარული ბევრნაირი არსებობს: მეგობრული, დედა-შვილური და ყველასათვის ცნობილი სიყვარული, რომელიც მარადიული ოჯახის შექმნას გულისხმობს. თუმცა არცერთი მათგანის ურთიერთობას სიყვარული არ ერქმეოდა და მარადიული არ იქნებოდა, თუ მათ შორის არ იქნებოდა ნდობა და ერთგულება.

-მარიტა, თქვენთვის სიყვარული სიხარულია თუ ტკივილი?

-იცით რა, სიყვარულს ორივე თან ახლავს, ორივე მისი ნაწილია. სწორედ ეს ხდის ამ გრძნობას, ასეთ ამოუცნობს და განსხვავებულს. თუ არ გვეტკინა და ბრძოლა არ მოგვიწია, შესაძლოა ვერც კი დავაფასოთ სათანადოდ. ამიტომ ჩემთვის სიყვარულში, სიხარული და ტკივილი ერთმანეთს ავსებს.

-ახლა კი მინდა ბოლო კითხვა დაგისვათ, მარიტა, თქვენ გყვარებიათ?

-დიახ რათქმაუნდა, მე მხოლოდ ერთხელ შემიყვარდა და დღემდე გაგრძელდა. მეტიც ის უფრო და უფრო ძლიერდება. სწორედ ამ სიყვარულის წყალობით შევქმენი ჩემი ოჯახი და სწორედ ასეთი წარმომიდგენია სიყვარული.

-მარიტა, ულრმესი მადლობა ასეთი ლამაზი და ამომწურავი პასუხებისათვის, მართლაც ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი მოსმენა. ახლა კი დაგემშვიდობებით.

მ.ივანიძე